სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N602/06

ქ. თბილისი 20 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პიქსისი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ პაპაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10 [1] მუხლის, მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ,,ახალი მიდგომები გერანიოლის, ნეროლის და ციტრალის სინთეზებში'' (საგრანტო ხელშეკრულება №217868) დაფინანსების ფარგლებში ულტრაბგერითი სარეაქციო სისტემის შესყიდვა. CPV 38436700

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	შესყიდვის ობიექტი დასახელება და აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	Shinka SRF-1; მრავალსიხშირიანი ულტრაბგერითი სარეაქციო სისტემა (რეაქტორი); სიხშირეები: 20/40/60 კჰც, მაქსიმალური გამოსასვლელი სიმძლავრე 100ვტ	1	24440.00	24440.00
2	Shinka Adapter 14/23; ადაპტერი 14/23, 90°მინის მილით	1	121.00	121.00
3	Shinka Stopper for 14/23; მინის საცობი 14/23	1	81.00	81.00
4	Shinka Adapter A 50/50; ადაპტერი A 50/50-29/32	1	488.00	488.00
5	Shinka Adapter B 29/32; ადაპტერი B 29/32-19/26	1	217.00	217.00
6	Shinka Adapter D 29/32; ადაპტერი D 29/32 შემრევისათვის	1	434.00	434.00
7	Shinka cap for 50/50 hile; რეაქტორის მთავარი ხვრელის ხუფი 50/50	1	325.00	325.00
8	Shinka Stirrer w/transformer for 220 v; შემრევი გადამყვანი ტრანსფორმა-ტორით	1	4227.00	4227.00
9	Shinka Stand for stirrer; შემრევის დამჭერი	1	867.00	867.00
	სულ ჯამური ღირებულება დღგ-ს გარეშე:			31200.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 31 200.00 (ოცდათორმეტიათასორასი) ლარს დღგ-ს გარეშე. თანახმად 2017 წლის 12 ივლისის ID 4743451 შემოსავლების სამსახურის ნებართვისა.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ადგილზე მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გადასახადის გარდა.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლი განხორციელედება სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო ხელშეკრულების №217868 ხელმძღვანელის ც. რამიშვილის მიერ.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგი პირობით: CIP Tbilisi Airport (Incoterm 2010).

6.2 ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია და გაფორმება განხორციელდება ,,მიმწოდებლის'' მიერ რეკომენდირებული ბროკერის საშუალებით, ,,შემსყიდველის'' მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 75(სამოცდათხუთმეტი) დღე.

6.4 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, საგრანტო ხელშეკრულების №217868 -ით მიღებული დაფინანსებით, სახაზინო ანგარიშიდან.

7.3 ანგარიშსწორების ეტაპები:

7.3.1 პირველი ეტაპზე ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 22 400.00(ოცდაორიათასოთხასი) ლარს, რომლის გადარიცხვა განხორციელდება, საქონლის მოწოდების შემდეგ, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 01 ნოემბრისა.

7.3.2 მეორე ეტაპზე გადასარიცხი თანხა შეადგენს 8 800.00(რვაათასრვაასი) ლარს, საგრანტო პროექტის მე-3 საანგარიშო პერიოდში, არაუგვიანეს 2018 წლის 31 იანვრისა.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. **გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები**

12.1 მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია 1 წელი. საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხაჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეაკეთოს ან შეცვალოს საქონელი ახლით;

12.2 ექსპლუატაციის პროცესში, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 მარტისა, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
საგრანტო ხელშეკრულების №217868-ის დაფინანსებით

საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

მიმწოდებელი
შპს „პიქსისი"
მისამართი: ქ.თბილისი; საბურთალოს ქ.40
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ საქართველოს ბანკი"
ა/ა N GE 72 G0000000900842200
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
205214542

დირექტორი:

/მ. პაპაშვილი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

“ 20 “ ივლისი 2017 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ულტრაბგერიტი სარეაქციო სისტემის (CPV38436700) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში შპს „პიქსისი“-სთან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღავენლის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ე.საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ვ. ბარამიძე
თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი	ს. სანაძე
შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი	ლ. კოპალეიშვილი

შემოსავლების
სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
204864548

გადამხდელის დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი
ვაკე-საბურთალო / ჭავჭავაძის გამზ. 1

ელ-ფოსტა
irma.amirezashvili@tsu.ge

ტელეფონი
599550420

თქვენი განცხადების საფუძველზე საიმპორტო ტვირთს:

ინვოისის ღირებულება: 31200 ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 აგვისტოს #326 ბრძანებულების შესაბამისად მიენიჭოს გრანტის სტატუსი.

თარიღი: 12/07/2017

ID: 4743451

ანგარიშის რეკვიზიტები

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი | TRESGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021

3049840
თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16

ელ. ფოსტა: info@rs.ge, ვებ გვერდი: www.rs.ge